პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

585
1979/2

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს
# უწყებანი

№ 4 (459)

1979 წლის აპრილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!


# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

**№ 4 (459) აპრილი 1979 წელი**


## შ ი ნ ა ა რ ს ი

### განყოფილება პირველი


76. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ა. თით-ბერიძის საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

77. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. მ. ჯაფარიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

78. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ლ. ქართველიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

79. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა გატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

80. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ტყის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ.

81. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ტყის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

82. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკაში ბავშვის საერთაშორისო წლის მომწყობი კომისიის შექმნის შესახებ.

83. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა შესახებ დებულების ახალი რედაქციის დამტკიცების თაობაზე.

84. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში საგეგმო-საფინანსო დისციპლინის დაცვის

მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო მუდმივი კომისიის ინფორმაციის თაობაზე.

85. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩატარების შესახებ.

86. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩატარების შესახებ.

## განყოფილება მეორე

87. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ.

88. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალში დაღუპულთა გადარჩენისათვის" დაჯილდოების შესახებ.

89. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

90. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. პ. ეზაშვილისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

91. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. კ. მანაგაძისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

92. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

93. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ ვ. ს. პრუსაკოვისათვის საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

94 ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ლ. ზაქაიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

95 ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. დ. იაკობიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

96 ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ა კიკნაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

97. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ი. კოდუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

98. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ვ. კოლელიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

99. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. დ. ლაშხის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

100. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ნ. მელაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

101. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ა. რუხაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

102. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. რ. ძნელაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

103. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქუთაისის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის სახელობის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

104. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ა. გუნცაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

105. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. შ. შალამბერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

106. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. დ. ციციშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

107. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

108. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. გ. ბადრიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

109. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. გ. კაკაურიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

110. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ი. პაპიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

111. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. რ. ჩიტალაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

112. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქალაქ თბილისის კომკავშირული ორგანიზაციის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

113. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. გ. თაყაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

114. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. დ. კიკნაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

115. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ვ. კორშიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

116. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ვ. მალაზონიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

117. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. მ. მახარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

118. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ს. პეტრიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

119. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. დ. რჩეულიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

120. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ რ. მ. ტურაბოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

121. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ბ. ქემაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

122. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ვ. ქუჩულორიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

საინფორმაციო ცნობები.

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**76** **ამხ. შ. ა. თითბერიძის საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. შოთა ამბროსის ძე **თითბერიძე** საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 4 აპრილი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**77** **ამხ. ე. მ. ჯაფარიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. ერმალო მინას ძე **ჯაფარიძე** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 10 აპრილი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**78** **ამხ. დ. ლ. ქართველიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. დიმიტრი ლევანის ძე **ქართველიშვილი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 10 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 79 ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა გატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ

ითვალისწინებს რა მოქალაქეთა მრავალრიცხოვან სურვილებს, საზოგადოებრივ და სახელმწიფო ორგანიზაციათა წინადადებებს ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა გატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების აუცილებლობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 243-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 243. ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა გატაცება**

ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა ან სხვა თვითმავალი მანქანების გატაცება დროებით გამოყენების მიზნით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, ან საზოგადოებრივი გაკიცხვით.

იგივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით, ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ანდა ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით, ან ჩადენილი სიმთვრალეში, ან პირის მიერ, რომელსაც მართვის უფლება არა აქვს, ანდა დაკავშირებული ძალადობასთან, რომელიც საშიში არაა დაზარალებულის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარასთან, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა ან სხვა თვითმავალი მანქანების გატაცება, რაც დაკავშირებულია დაზარალებულის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობასთან, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარასთან, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან რვა წლამდე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 18 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 80 საქართველოს სსრ ტყის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ

„საქართველოს სსრ ტყის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ 1978 წლის 21 დეკემბრის კანონის შესაბამისად (საქართველოს სსრ უმაღ-

ლესი საბჭოს უწყებები, 1978 წ., № 12, მუხ. 254) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ კანონმდებლობის საქართველოს სსრ ტყის კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანამდე გამოიყენება საქართველოს სსრ ტყის კანონმდებლობის ის მოქმედი აქტები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან აღნიშნულ კოდექსს.

2. საქართველოს სსრ ტყის კოდექსი გამოიყენება იმ სატყეო სამართლებრივ ურთიერთობათა მიმართ, რომლებიც წარმოიშობა კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ, ე. ი. 1979 წლის 1 მაისიდან.

საქართველოს ტყის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე წარმოშობილ სატყეო სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილეების უფლებებისა და მოვალეობების განხორციელება 1979 წლის 1 მაისიდან რეგულირდება კოდექსის შესაბამისად.

3. საქართველოს სსრ ტყის კოდექსით გათვალისწინებული წესი, რომელიც დადგენილია სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლებით, გამოიყენება საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების დღიდან, ე. ი. 1978 წლის 1 იანვრიდან, „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 19 დეკემბრის ბრძანებულების შესაბამისად (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1977 წ., № 50, მუხ. 746).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 18 აპრილი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 81 საქართველოს სსრ ტყის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„საქართველოს სსრ ტყის კოდექსის დამტკიცების შესახებ" საქართველოს სსრ 1978 წლის 21 დეკემბრის კანონის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1978 წ., № 12, მუხ. 254) შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1979 წლის 1 მაისიდან, ე. ი. საქართველოს სსრ ტყის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების დღიდან, საქართველოს სსრ შემდეგი საკანონმდებლო აქტები:

1. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1924 წლის 15 მაისის დადგენილება „საქართველოს სო-

ციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტყის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1924 წ., № 1, მუხ. 24).

2. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წლის 10 სექტემბრის დადგენილება „საკურორტო ტყეების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1924 წ., № 3-4, მუხ. 12).

3. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის 5 მარტის დადგენილება „საქართველოს სსრ ტყის კოდექსისათვის 71-ე მუხლის დამატების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1927 წ., № 3, მუხ. 39).

4. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 28 დეკემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ ტყის კოდექსის 29-ე მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1930 წ., № 2, მუხ. 25).

5. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1935 წლის 4 დეკემბრის დადგენილება „საკურორტო ტყეების დებულების შეცვლის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1935 წ., № 34, მუხ. 213).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 18 აპრილი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 82 საქართველოს სს რესპუბლიკაში ბავშვის საერთაშორისო წლის მომწყობი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეიქმნას საქართველოს სს რესპუბლიკაში ბავშვის საერთაშორისო წლის მომწყობი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

**თავმჯდომარე**

ოთარ ევტიხის ძე **ჩერქეზია** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

**თავმჯდომარის მოადგილეები:**

ვიქტორია მოსეს ასული **სირაძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

ემილ ალექსის ძე **სეხნიაშვილი** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე.

### კომისიის წევრები:

გრიგოლ გრიგოლის ძე **აბაშიძე** — საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

ალექსანდრე დიმიტრის ძე **ალექსიძე** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე.

ფარნაოზ ანანიას ძე **ანანიაშვილი** — საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი.

მარიკა გერვასის ასული **ბარათაშვილი** — ჟურნალ „საბჭოთა ქალის" რედაქტორი.

ხუტა მიხეილის ძე **ბერულავა** — გაერთიანება „განათლების" გენერალური დირექტორი.

გიორგი პავლეს ძე **გამცემლიძე** — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი.

ირინე ალექსანდრეს ასული **გოცირიძე** — მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო რუსული თეატრის დირექტორი.

ნონა ტერენტის ასული **გაფრინდაშვილი** — გროსმაისტერი.

დამიანე ვლადიმერის ძე **გოგოხია** — რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის" თავმჯდომარის მოადგილე.

თინა პართენის ასული **გოთუა** — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, დიდი სამამულო ომის მონაწილე.

ნადეჟდა ახმედის ასული **გუგუნავა** — საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი.

ნელი ვლადიმერის ასული **გურგენიძე** — საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი.

მერი შალვას ასული **დავითაშვილი** — საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივანი.

მელიტონ მიხეილის ძე **დანელია** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილე.

აკაკი არჩილის ძე **დვალიშვილი** — საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

ლამარა ერემიას ასული **დეკანოსიძე** — თბილისის ცენტრალური უნივერმაღის დირექტორი.

ციური მიხეილის ასული **დეკანოიძე** — ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ფეიქარი.

ნათელა შალვას ასული **ვასაძე** — ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი.

ოთარ ვასილის ძე **თაქთაქიშვილი** — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი.

მარინე ზაქარიას ასული **ილაშვილი** — საწარმოო გაერთიანება „თბილკონდიტერის" დირექტორი.

მედეა ილიას ასული **კახიძე** — პოეტი.

ზინაიდა არსენის ასული **კვაჭაძე** — საქართველოს პროფსაბჭოს ქალთა შორის მუშაობის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი.

თამარ ივანეს ასული **კოლონია** — აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრი.

რესან ხასანის ძე **კონცელიძე** — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი.

თამარ ვასილის ასული **ლაშქარაშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი.

გელა გიორგის ძე **ლეჟავა** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი.

ელგუჯა სამუელის ძე **მაღრაძე** — საქართველოს სსრ გამსახკომის თავმჯდომარე.

მადონა დავითის ასული **მგელაძე** — საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

მერი ლუარსაბის ასული **მდივანი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედისა და ბავშვის დაცვის საკითხების მუდმივი კომისიის თავმჯდომარე.

მამია ამბერკის ძე **მეგრელიშვილი** — საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი.

ალექსანდრე ოგანეზის ძე **მოვსესიანი** — საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრი.

მიხეილ ალექსის ძე **მჭედლიშვილი** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პედიატრიის ინსტიტუტის დირექტორი.

იოსებ ელიოზის ძე **ნონეშვილი** — მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, პოეტი.

დავით ალექსანდრეს ძე **პერტენავა** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

ნინო აქსენტის ასული **ჟვანია** — თბილისის ქალთა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

თეიმურაზ გიორგის ძე **ულენტი** — პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი.

ნადეჟდა რაჟდენის ასული **სამნიაშვილი** — სოციალისტური შრომის გმირი, გორის რაიონის შინდისის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ვლადიმერ ალექსანდრეს ძე **სობოლევი** — საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი.

თეიმურაზ გიორგის ძე **სტეპანოვი** — საქინფორმის დირექტორი.

ნუგზარ აკაკის ძე **ფოფხაძე** — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

თამარ შალვას ასული **ქაბულოვა** — სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

ვახტანგ ივანეს ძე **ქარუმიძე** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

ოთარ დანიელის ძე **ქინქლაძე** — საქართველოს სსრ განათლების მინისტრი.

თინა კონსტანტინეს ასული **ქუთათელაძე** — საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

ოთარ სპირიდონის ძე **ცანავა** — წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე.

თინა ვასილის ასული **წერეთელი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

მერი პავლეს ასული **წიკლაური** — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

გივი ლევანის ძე **ჭიჭინაძე** — პოეტი.

სოლიკო ევტიხის ძე **ხაბეიშვილი** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე.

ნინო ალექსანდრეს ასული **ჯავახიშვილი** — საბჭოთა ქალთა საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ნოდარ შალვას ძე **ჯანბერიძე** — საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე.

გიორგი ნიკოლოზის ძე **ჯიბლაძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 18 აპრილი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 83 საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა შესახებ დებულების ახალი რედაქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა შესახებ დებულება ახალი რედაქციით.

2. ამასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 13 ივნისის ბრძანებულება იმ ნაწილში, რომელიც ეხება საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა შესახებ დებულების დამტკიცებას.

3. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომმა, სახალხო

დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მისანიჭებლად შუამდგომლობის აღძვრისას ზუსტად დაიცვან საპატიო წოდებათა შესახებ დებულების მოთხოვნები.

4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველობამ დაჯილდოების განყოფილებასთან ერთად უზრუნველყოს საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა შესახებ დებულების ქართულ და რუსულ ენებზე სტამბური წესით დაბეჭდვა და შესაბამისი უწყებებისა და ორგანიზაციებისათვის დაგზავნა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 26 აპრილი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 84 საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში საგეგმო-საფინანსო დისციპლინის დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო მუდმივი კომისიის ინფორმაციის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო მუდმივი კომისიის ინფორმაცია საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში საგეგმო-საფინანსო დისციპლინის დაცვის მდგომარეობის შესახებ.

2. მუდმივი კომისიის რეკომენდაციები სათანადო რეაგირებისათვის დაეგზავნოს საქართველოს სსრ სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს და სხვა რესპუბლიკურ უწყებებს.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს 1978 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების განხილვისას გაითვალისწინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო მუდმივი კომისიის რეკომენდაციები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 26 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 85 საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩატარების შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ 1979 წლის ივნისში იწურება საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა უფლებამოსილების ვადა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა 1979 წლის ივნისში ჩაატარონ საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 27 აპრილი.

დადგენილება საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 86 საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) უზრუნველყონ 1979 წლის ივნისში საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების მაღალ ორგანიზაციულ დონეზე, არჩევნების დებულების სრული შესაბამისობით ჩატარება;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ, იმას რომ სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებად არჩეულ იქნენ წარმოების, სოფლის მეურნეობისა და ინტელიგენციის მოწინავე ადამიანები, რომლებიც სარგებლობენ ხალხის ნდობით, ხასიათდებიან მაღალი მოქალაქეობრივი თვისებებით და შეუძლიათ სწორად გადაჭრან სოციალისტური მართლმსაჯულების წინაშე მდგომი ამოცანები;

გ) ორგანიზებულად ჩაატარონ სასამართლოების სახალხო მსაჯულთა ასარჩევად გამართული მშრომელთა საერთო კრებები საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამხედრო ქვედანაყოფებსა და დასახლებულ პუნქტებში. არჩევნებში მოქალაქეთა მონაწილეობის მაქსიმალურად უზრუნველყოფისათვის კრებები ჩატარდეს ცვლებში, საამქროებში, განყოფილებებსა და ბრიგადებში;

დ) კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მეშვეობით ფართოდ გაშალონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა არჩევნების დებულების, საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და საბჭოთა დემოკრატიზმის პრინციპების შესახებ;

ე) ადგილობრივი პრესისა და რადიოს საშუალებით ვრცლად გააშუქონ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების მიმდინარეობა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს ადგილობრივი ორგანოების საშუალებით პრაქტიკული დახმარება გაუწიონ საბჭოების აღმასკომებს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩატარების ორგანიზაციის საქმეში.

3. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების შედეგები არჩევნების დამთავრებისთანავე დეპეშით აცნობონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, ხოლო სტატისტიკური ანგარიში, თანდართული ფორმის მიხედვით, გამოუგზავნონ 1979 წლის 5 ივლისამდე.

4. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას საჭირო დახმარება და კონტროლი გაუწიოს საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების ორგანიზებულად ჩატარებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 28 აპრილი.

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**87** **მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ**

ხანძრის დროს მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით რიგითი ვლადიმერ ვასილის ძე **კობზარევი** დაჯილდოვდეს მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 26 აპრილი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**88** **მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ**

წყალწაღებულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით **„წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოვდნენ:**

მალხაზ ემილის ძე **გვილავა** — ხობის რაიონის სოფელ პირველი მაისის საშუალო სკოლის მოსწავლე.

რეზო იოსების ძე **გიგილაშვილი** — ქ. თბილისის 24-ე საშუალო სკოლის მოსწავლე.

გერისო სანდროს ძე **ხორგუაშვილი** — ქ. თბილისის № 5 გასამხედროებული ნაწილის უფროსი მეხანძრე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 26 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

# 89 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის და სამეცნიერო კადრების მომზადებაში დამსახურებისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის:**

მალხაზ გრიგოლის ძე **აბდუშელიშვილს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

ლიპარიტ სერგის ძე **აგამირზიანს** — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის თეორიული მექანიკის კათედრის პროფესორს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს.

ელენე დიმიტრის ასულ **ბათიაშვილს** — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის კათედრის გამგეს, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

სარა ვასილის ასულ **ბარნაველს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. ნ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების განყოფილების ხელმძღვანელს, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს.

ხუხუტი სოლომონის ძე **ბღაჟბას** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. ი. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის ლიტერატურისა და ფოლკლორის განყოფილების გამგეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს.

შოთა ლეონტის ძე **ბებიაშვილს** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რადიოტექნიკის კათედრის გამგეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

შალვა ივანეს ძე **ბიწაძეს** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული მატერიალიზმის კათედრის პროფესორს, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს.

იოსებ ლუარსაბის ძე **ბოცვაძეს** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის კათედრის პროფესორს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს.

გრიგოლ ვასილის ძე **ბრეგვაძეს** — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სკკპ ისტორიის კათედრის გამგეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

ალექსანდრე ვარდენის ძე **ბუხნიკაშვილს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საწარმოო ძალების და ბუნებრი-

ვი რესურსების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, გეოლო-გია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

ლეონიდე კალისტრატეს ძე **გაბუნიას** — საქართველოს სსრ მეცნიერება-თა აკადემიის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, ბიოლოგიის განყო-ფილების აკადემიკოს მდივანს.

უჩა ამბერკის ძე **გაბუნიას** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. ნ. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის განყოფილების ხელმძღვანელს, მედიცინის მეცნიე-რებათა დოქტორს, პროფესორს.

მიხეილ კირილეს ძე **გეგეშიძეს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკა-დემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კონკრეტუ-ლი სოციოლოგიური კვლევის განყოფილების ხელმძღვანელს, ისტორიის მეც-ნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

მამია ალექსის ძე **გოგოლიშვილს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის დირექტორს, სოფლის მეურნეო-ბის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

ვახტანგ ივანეს ძე **გომელაურს** — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის თერმოდინამიკისა და თბომექანიკის კათედრის პროფესორს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერე-ბათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს.

ვარლამ ბარნაბის ძე **დონაძეს** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ისტორიის კათედრის პროფესორს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს.

გრიგოლ ივანეს ძე **ზარდალიშვილს** — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელო-ბის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ეკონომიკური გეოგრაფიის კათე-დრის გამგეს, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

პოლიკარპე კონსტანტინეს ძე **ზერაგიას** — თბილისის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტის ზოგადი მათემატიკის კათედრის გამგეს, ფიზიკა-მათემატიკის მეც-ნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

ირაკლი ივანეს ძე **ზურაბიშვილს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკა-დემიის გ. ა. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტის დირექტო-რის მოადგილეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

პლატონ ნოშრევანის ძე **თავხელიძეს** — თბილისის სახელმწიფო უნივერ-სიტეტის სკკპ ისტორიის კათედრის პროფესორს, ისტორიის მეცნიერებათა დო-ქტორს.

აკაკი სარდიონის ძე **თოფურიას** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-ტის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის კათედრის გამ-გეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

გრიგოლ დიმიტრის ძე **თუმანიშვილს** — საქართველოს სსრ მეცნიერება-თა აკადემიის ა. ნ. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის განვითარების ბიოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელს, ბიო-ლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

ა. ნაციონალური სახ. ბიბ.

ივანე ილიას ძე **თუმაჯანოვს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს სამეცნიერო ნაწილში, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

თენგიზ ვახტანგის ძე **ივანიცკის** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის გეოქიმიის განყოფილების ხელმძღვანელს, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე **კაკალაშვილს** — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კვების მრეწველობის საწარმოთა მოწყობილობის კათედრის გამგეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

თამარ ალექსანდრეს ასულ **კეზელს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს.

ელიზბარ ონისიმეს ძე **მინდელს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. ა. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტის დირექტორს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

ბიძინა რაჟდენის ძე **ნანეიშვილს** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს სამეცნიერო ნაწილში, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

შალვა გიორგის ძე **ნახუცრიშვილს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს.

გრიგოლ იერემიას ძე **ჟვანიას** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის საერთაშორისო და სახელმწიფო სამართლის განყოფილების ხელმძღვანელს, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

გივი გიორგის ძე **ჟორდანიას** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის გამგეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

გიორგი გიორგის ძე **სამსონაძეს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. ნ. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის ჰისტოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

ტიტე საჩინოს ძე **სარიშვილს** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრის პროფესორს, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორს.

გიორგი ალექსანდრეს ძე **ტალიაშვილს** — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ლიტერატურის კათედრის გამგეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

აკაკი ვლადიმერის ძე **ურუშაძეს** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

დავით ალფეზის ძე **ფანჩულიძეს** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ფილოლოგიის კათედრის პროფესორს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს.

ვახტანგ გიორგის ძე **ქავთარაძეს** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

შოთა სტეფანეს ძე **ქემხაძეს** — ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის გამგეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

სიმონ ხაიმის ძე **შათაშვილს** — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის გამგეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

კონსტანტინე სიმონის ძე **შაკრილს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. ი. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს.

არნოლდ ესტატეს ძე **ჩიქობავას** — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის პროფესორს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს.

ზურაბ ნიკოლოზის ძე **წილოსანს** — ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკის“ რედაქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის სამშენებლო მასალათა განყოფილების ხელმძღვანელს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

თეიმურაზ იასონის ძე **ჰკუასელს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის მცენარეთა ფიზიოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

ირაკლი თეიმურაზის ძე **ჭუმბურიძეს** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კლინიკური და ექსპერიმენტული თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს სამეცნიერო ნაწილში, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს.

მიხეილ ვლადიმერის ძე **ხვინგიას** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის დინამიკის განყოფილების ხელმძღვანელს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

ვახტანგ შალვას ძე **ჯაოშვილს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის მოსახლეობის გეოგრაფიის ლაბორატორიის ხელმძღვანელს, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

ირაკლი სპირიდონის ძე ჯაფარიძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მხაზველობითი გეომეტრიის და საინჟინრო გრაფიკის კათედრის პროფესორს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს.

ალექსანდრე გაიოზის ძე ჯვარშეიშვილს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. ა. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

ეთერ კაპიტონის ასულ ჯიქიძეს — სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სოხუმის პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

სერგო მანასეს ძეს ჯორბენაძეს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორს სამეცნიერო მუშაობაში, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 16 აპრილი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 90 ამხ. ნ. პ. იზაშვილისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, სამეცნიერო კადრების მომზადებაში დამსახურებისათვის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ა. პ. წულუკიძის სახელობის უროლოგიისა და ნეფროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს სამეცნიერო ნაწილში, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნიკოლოზ პავლეს ძე **იზაშვილს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 16 აპრილი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 91 ამხ. გ. კ. მანაგაძისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკაში დეკორატიული ხელოვნების განვითარების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა

